

მათრახი

იუმორისტული ჟურნალი.



№ 3

ჟურნალზე ხელის-მოწერა ჯერ-ჯერობით არ აკმა-
წერილები გამოავსვენება: შრომის სტამბაში ირკა ღს.



რე. შალიაძე

საქმე 1912 1125 7-ბა

ფ ღ ა ვ ი ს მ უ შ ტ რ ე ბ ი .

„თფილისის ქალაქის თვითმართველობის შენობაში 24 ივნისს შემდეგი უბედურება დატრიალდა: ქალაქის გამგეობის წევრებს ამ დღისთვის საგანგებოთ შეემაღდებინათ ფლავი, მეოთხე სათათბიროს საარჩევნო სიების შემდგენელთათვის. ეს გაზეთის საშუალებით ამცნეს ქალაქის მცხოვრებთ. დილიდანვე თვითმართველობის შენობას აუარებელი მუშტარი მოაწყდა, ფლავის ქამის საღერღელი ბევრს აშლოდა. გაწვდილი ხელებით გრძნობით შესთხოვედნენ მუშტარნი პ. ა. არლუთინსკის, რომელსაც ფლავი ხელში ეჭირა, ცოტა ეწილადებოდა ყველასათვის. მუშტართ მოთმინება დაეკარგათ და საბჭოს

დარბაზზე იერიში მიიტანეს, მაგრამ აქ მოხდა უბედურება. დარბაზიდან გამოკვიდნენ ლამაზ-ლამაზი გოგონები და დაერივნენ. ყველას ხელში თითო კოვზი ეჭირა, კოვზები კარგა ხანია, რაც მათთვის უკვე დაერიგებინათ, ბანოვანთათვის თავდადებულ და გულ-მოყვარე რაინდებს. გამწარებულმა „ბარიშნებმა“ კოვზებით თავები დაუტყვეს აუარებელ ხალხს და უკოე აქციეს. აღმოჩნდა 40 მძიმე დაჭრილი და 70 მსუბუქათ. სულ მთლათ მოჰკლეს 15 კაცი. „ბარიშნებთაგან“ არავინ დაშავებულა.
(„სახ. გაზ.“ ქრონიკა).

მ ე გ ა ბ ა რ ს.

კონას გიძენი, იის კონას, დილის ნამით დანაპურავს! მარტვი, სიო გაზაფხულის მწუხრის ბინდზე ფრთას რათ სწურავს?

ზღვის გულ-შეკრდით ანაქროლნი ზღვის სიზმრები სანეტარო გაპქერენ? მაშინ ოცნების ფრთით ვის გულ-შეკრდზე დავემყარო,

ზღვის წალკოტში ია ვთესე, ია დავრგე, ია ვზარდე, და შენც კონა, იის კონა ჩამომართი თუ გიყვარდე.

ფრთამან, ღიახ, ოცნების ფრთამ ზღვის ნიაგი უნდა სეროს... მხოლოთ შენგან სიტყვას ვუცდი, მგოსნის სიტყვას, სასიმღეროს:

გმირულ სიმებს შეგების ჩანგზე ჩვეულმბრივ ვაპა წკირა! შენანების კრემლი წსაცდეს, ვინც „ჩვენ“ ერთხელ „დავვიტარა“.

გულს ხელი ჰკარ „მესავლავე“-ს, მან სხვა ნახ-ს დასამარხი: აღრიკინოს უქმად, სანამ არ გაუცდეს აზრის ჩარხი.

შენ კი, ია რომ მიიღო, შენთვის კონად ჩემგან წნული, სასიმღეროთ გამოეწყვე, გადაფურცლე მგოსნის გული.

სიტყვას ველი შენგან, სიტყვას, ქარაგმულს და ამოქარგულს. თავს მოვევლოთ „იმედის ზღაპრს“, საოცნებო წალკოტს დარგულს:

დავუკოცნოთ ფესვი, ღერო და მიუძღვნათ იის კონა, ჩვენ ხომ ორნივ იმ მცენარემ ერთნაირად დავვიმონა!

და მეც შენგან სიტყვას ვუცდი, მგოსნის სიტყვას, სასიმღეროს, რომ ოცნებამ ზღვის სიღრმიდან ზღვის სიზმრები ამოსწეროს,

ზღვის სივრცეზე ყოფნის სიო დაუღლევი ფრთებით სეროს. ქვეყნის ბედი მომავალი გამოქანას და გამოპკეროს...

5. ზომღეთელი.



თ ა ნ ა მ ე ლ რ ო შ ი

ქართველი მწერლები.

(კრიტიკა უღმობელი და შეუბრალებელი)

წერილი პირველი.

ვიღაც ბრძენს უთქვამს: „ოდეს გამრავლდენ პოეტები, ბელეტრისტ-დრამატურგები და კრიტიკოსები, ის ერი, რომელმაც იგინი წარმოშობა აუცილებლათ უნდა მოისპოს და ეს უტყუარი ნიშნებია მისი უკანასკნელი წუთებისა“-ო. ვიღაც ყოფილა ის დალოცვილი ბრძენი ადამიანი ან წინდაწინვე გათვალისწინებული ჰქონია ჩვენი უბედურობა და ჩვენი გულის გასახეთქათ წარმოუთქვამს ეს ბრძნული სიტყვები, ან არა და იმ დროს, როცა ის ცხოვრობდა, ყველანი გიყვებოდა და ის როგორც ნაკლები გიყი სხვებს ბრძნათ დაუახლოვებ და მის გიყურ სიტყვებს ჩვენთან ისე ასაღებენ, როგორც ბრძნულს. თუ მის მიერ ნათქვამ სიტყვებს დაუჯერეთ მთელ ქვეყანაზე ყველაზე უწინ ჩვენ, ქართველები, უნდა ვადა შენდეთ და რადგან ამ უკანასკნელ ხანებში პოეტ-ბელეტრისტ-დრამატურგ-კრიტიკოსების რიცხვმა მკობხველთა რიცხვს გადააჭარბა (უმეტესათ პოეტებმა, რაც „თემი“-ს მიერ გამოცხადებულმა კონკურსმა დაამტკიცა და რასაც ეხლა ამტკიცებს პროვინციებიდან მოსული კორესპონდენტები.) ეტყვ ვარეშა ჩვენი დღეები დათვლილია და სულ რამდენიმე თვის (შეიძლება კვირის) შემდეგ უნდა გავკრიუთ.

არ შეშინდეთ! ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის ბრძენი მართლა ბრძენი იყო და მისი სიტყვები ბრძნული და დასაჯერებელი. მაგრამ მე დაგარწმუნებთ ყველას, რომ ის ბრძენი გიყი ყოფილა. მე ვამტკიცებ, ბატონებო, რომ ის ერი ყველაზე მეტს სცოცხლობს, რომელსაც ჰყავს თავის ცხოვრების გამოშობილი მწერლები (ამასაც ვიტყვი რომ პოეტების მეტის-მეტი სიმრავლევ არ ვარგა) ყოველი მწერალი, პოეტი იქნება ის თუ ბელეტრისტი, თუ დრამატურგი, თუ კრიტიკოსი იმ ხალხის, იმ ერის ბარამეტრია, რომელმაც ის წარმოშვა. მაგალითად ერის ცხოვრებაში მოხდა რამ ღირსშესანიშნავი ფაქტი, ესთქვათ ნახშირით დატვირთულმა სახედარმა ტოლანში წაიჩოქა, თუ ამ ერს მწერალი არა ჰყავს ეს შესანიშნავი ფაქტი აღუნიშნავი დარჩება და მომავალ თაობას წარმოადგენაც არ ექნება არა თუ იმ ადგილზე სადაც სახედარმა წაიჩოქა, არამედ თვით სახედარზე, რამდენი წლისა იყო. გამხდარი იყო თუ არა, რამდენი ფუთი ნახშირი ეკიდა, როგორი ყურები ჰქონდა და სხვა.

ბედნიერია ის ერი ვისაც მწერლები ჰყავს! პოეტს შეუძლია ამ დროს გულის გამგმირავი ლექსი დასწეროს ის პირდაპირ სახედარს არ შეეხება, ეს ფაქტი ისეთ დროს შობაბუნებრივად მოახდენს მასზე, რომ ის ფიცხლავ დედაშიწას შორდება და ჰაერში დაფრიალობს., თავში ქაოსი უქიქინებს, ხელში ყავარჯენით მთვარეზე დასეირნობს, ვარსკვლავებს პირს ბანს და მზის ოქროს სხივებს მუქით აფრქვევს

იმ ადგილის სადაც ჩაჩოქილი არის სახედარი. ამგვარათ განმზადილი პოეტის სოხავს ლექსს, რომელიც შთამომავლობიდან შთამომავლობაზე გადადის და ყველას ახსოვს ის წმინდა ადგილი, სადაც სახედარმა ჩაჩოქა.

ბელეტრისტს ასეთ სურათის დანახვაზე გული საშინლათ უწყებს ცემას, თვალებიდან ცრემლთა ნიაღვარი წასქედება, სახედრის ასეთი მდგომარეობა მასზე საზარლათ მოქმედებს, ის თვალს მოავლებს მიდამოს, მოიპარება და იქვე სოხავს თავის ნაწარმოებს, ის დღეამიწის არ შორდება, ის წაჩოქილ სახედრის გვერდით სდგას. კარგი, ნიქერი ბელეტრისტი საუბროვით ადგევწერს ასეთ შემთხვევებში ქუნას, სახლებს, მიმავალ ხალხს, ამინდს, სწვიმდა თუ შინანი დღე იყო, დასავლეთის ქარი ქროდა თუ აღმოსავლეთის, ადგევწერს ტალახს, რომლის მსხვერპლიც გახდა უბედური სახეღარი, თხელი იყო თუ სქელი, ყვითელი თუ შავი. რა დრო იყო, საიდან მოდიოდა სახედარი, ვინ მოსდევდა უკან და რა იყო მიზეზი მისი წაჩოქების. ამგვარათ აღწერილი ფაქტი ფრიად ანვითარებს ყოველი ერის შეილთა გოგრას; ესტკეპათ თფილისში მოხდა ეს ამბავი, მოხისელი გლეხი ჰკითხულობს თავის სახლში პოეტ-ბელეტრისტთა ნაწარმოებს და ეს ისე ნათლათ უხატავს ყველაფერს თითქოს თავის თვლით ენახოს ყველაფერი. და თუ ოდესმე ან ის ან მისი შვილის შვილი თფილისში ჩამოვიდა 40—50 წლის შემდეგ ის აუცილებლათ იცნობს იმ ადგილს და ქულის მოხდით პატივს სცემს.

აქედან აშკარათ სჩანს, რომ წინააღმდეგ ვიღაც ბრძენისა, როძელსაც ზემოთ მოყვანილი გიჟური სიტყვები წარმოუთქვამს, ის ერი ყველაზე მეტს სიცოცხლობს ვისაც მეტი მწერლები ყავს. ამასთანავე ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ ერისთვის მარტო პოეტ-ბელეტრისტები არ კმარა, მას უნდა ჰყავდნენ კრიტიკოსებიც. ხშირათ პოეტ-ბელეტრისტი ისეთ რამეს სთხავს, რომლის გაგება შეუძლებელია, აქ კრიტიკოსმა უნდა აუხსნას თავის ერს რა სურდა ეთქვა პოეტს ან ბელეტრისტს. ამ მხრითაც დიდთ ბენდიერნი ვართ ქართველები. პოეტ-ბელეტრისტთა ზრდასთან ერთათ კრიტიკოსთა რიცხვიც თანდათან მატულობს და ჩამიღაშვილურმა კრიტიკამაც სასოვადო ასპარეზე დიდი ადგილი დიქორა. მაგრამ მიუხედავთ ამისა სიმწუხაროთ დღემდე არა გვაქვს ერთი მთლიანი კრიტიკული ნაწარმოები, არა გვაქვს წარმოდგენა ყველა ჩვენ მწერლებზე ზოგს ვიცნობთ და ზოგს ვერა, ვიცნობთ შთა, რომლებს ჩხათრისთვისა სწერენ კრიტიკოსები და მწერლებით ნათლავენ ისეთებს, რომლებსაც სახედრის ამბის ჩამოსხმაც კი არ შეუძლიათ პოეტურ ფორმებში.

აქეთ იქიდან გვესმის ყვირილი და თავში ცემი: ჩმწერლობა დაცა, არა გვეყვანან პოეტ-ბელეტრისტები, აღარა გვეყავს შოთა რუსთაველი, ბართაშვილი, ილია ჭავჭავაძე, ნინოშვილი, და სხვანი. არა, ბატონებო, გულს ტყუილათ რაზე იხეთქავეთ, თავს რაზე იკლავთ, მე ვამტკიცებ, რომ მწერლები

გვეყვანან, შოთა რუსთაველი, ბართაშვილი, ილია ჭავჭავაძე, ნინოშვილი და სხვები ცოცხლები არიან. არა გვეყვანან, ბატონებო, კრიტიკოსები, არა გვაქვს მთლიანი კრიტიკული ნაწარმოები. ამ გარემოებამ მიიძულა შეუდგე ამ ნაკლის შეესებას.

ფრიად დიდ საქმეს ვკიდებ ხელს, დიდი გამბედაობა და ენერჯია არის საჭირო, მაგრამ იმედ მაქვს სხვათა დახმარებით შევასრულო ეს დიდი საქმე. მე მსურს ყველა ჩვენს მწერლებს ერთად მოუყარო თავი და თვითოეული მათგანი დაწვრილებით გავაცნო საზოგადოებას, სულ ერთია ნამდვილი მწერალი იქნება, თუ მწერლობის მანით გატაცებულნი (თუ კარგი მწერლები გვინდა ცუდიც უნდა გვინდოდეს, ის მაინც უნდა დავაფასოთ რომ სურვილი აქვთ მწერალი გახდეს).

როგორც ზემოთ ვსთქვი დღეს დღეობით მთლიანი კრიტიკული ნაწარმოები არ მოგვევობა. მე მსურს, ვინც კი ერთხელ გამოსულა ჩვენს სამწერლო ასპარეზეზე, ვისაც ერთხელ მაინც დაუწერია ლექსათ, თუნდაც უბრალო კორესპონდენცია სამტრედიიდან ან ხონიდან, ყველას შევეხო და მისი დავწიო არ დაუკარგო ქართველ ერს. ხოლო ვინცმა უნებართვით (იგულისხმებთ ჩამიღაშვილური კრიტიკა არ იქნება ჩემი კრიტიკა) გამომჩინეს ვინმე ესთხოვ ყველას გვაპატოვს და რაც შეიძლება საჩქაროთ მაქცნობოს თავის ვინაობა, გამომიგზავნოს თავის ბიოგრაფია, ნაწარმოები და სურათი, სიაზოვნებით მივიღებ და გავარჩევ.

ყველა ჩვენ ქართველ მწერლებს და მოღვაწეთ მე ყველა სამ დიდ ბანაკათ: პოეტები, ბელეტრისტ-დრამატურგები და კრიტიკოსები.

შეიძლება მწერალთა ასე დაყოფა ცოტა მოუხეშავი იყოს, მაგრამ დაგარწმუნებთ ამგვარათ უფრო ნათელი წარმოდგენა შეიძლება იქონოს ქართველთა ერმა თავის საუკეთესო შვილებზე. რადგან პოეტთა რიცხვი თითქმის სქარბობს ერთათ აღებულ ბელეტრისტ-დრამატურგ-კრიტიკოსთა რიცხვს (ეს გარემოება ძალიან მძვირკრებს, შეიძლება აქ გამართლდეს იმ ბრძენის, თუ გიჟის, ნათქვამი სიტყვები) ამიტომ მე ვიწყებ პოეტებიდან. განზრახული მაქვს თვითოეული პოეტის სახის მოხაზულობა, ბიოგრაფია და მისი ნაწარმოების კრიტიკული განხილვა ცალკე წერილებათ მოვათავსო ჩვენ ჟურნალში. ესთხოვ ყველას ვის სურათსაც ჩვენ თვითონ ვერ ვიშოვით, გაისარჯონ და მგავაწოდონ, საჭიროა აგრეთვე ზოგიერთი ბიოგრაფიული ცნობები. ამასთანავე საჭიროთ ვრაცხ გამოაცხადლო, რომ ზოგიერთ მწერლებზე ორხელ მექნება აღბარაკი, რადგან ბევრი ცალი ფეხით პოეტები არიან და ცალით ბელეტრისტები; ამიტომ შეცდომათ არ მიილოთ, თუ ორჯერ მოვიხსენიე თვითოეული ნომერში თითო მწერალს გავარჩევთ. პირველ ბანაკში იქნებიან პოეტები: ს. ანაჟიანი, შ. აშირაქიანი, ბ. ახოსანიანი, რ. ბეჰაშვილი, გ. ვეჯახაძე, ი. კრავიშვილი, ბ. კეკელიძე, ი. კვამლიანი, ნ. ზამთარაძე, დ. თურდისანიანი, რ. ლეხუშვილი, ასასმანი, ლ. დანია, დ. მესხიორე, ე.

მღაჭაშეილი, მჭედლიშეილი, ფ რუშეილი, ფაშაღი-
 შეილი, გ. ქუნიშეილი, ვ. რუხაქე, ნ. ჩხაკაქე, ა. შან-
 შაშეილი, და ზრფინდის უკულა კორესზონდენტები,
 რომლებსაც ერთა კორესზონდენტა მანდ დუქეა ლექ-
 სათ და მრეჯაღნი სხვანი, რომლებიც თუმცა ვერ არ
 გამოსულან „სახაეტო“ ასპარეზე მაგრამ ტენის ზოე-
 ტურ ნაწილში მწერლობის ქაეღის ნიშნები აქვს.

მეორე ბანაკში ბელეტრისტ-დრამატურგები:
 შ. არაგვისზირელი, ა. ეკლადე, ს. უიფანი, კეღეღანი-
 შეილი, მ. კარიუელი, მღაჭაშეილი, გ. ამირაჯიბი, გრ.
 დიასიძე („თემის“ რედაქტორი) ნ. კურდღელაშეილი
 („სახლხო გაზეთის“ რედაქტორი), ერ. გორდელაქე
 („საქ. რუხის“ გამომცემელი და გაზეთების გამგზ. ბიურ.
 გამგე), თ. ბოღქაქე („მათრასის“ რედაქტორი), ღორ-
 თქიფანიძე, ქანაქე, რამიშეილი, ირეთელი, ფონსოველი,
 ნარკანი, ანთოქა, ა. შანიძე.

მესამე ბანაკი—კრიტიკოსები: გრ. რობაქიძე,
 მ. წულუკიძე, ა. შანავე, გ. აბაშიძე, ა. გამარტელი, ა.
 ჯაჯანაშეილი, გ. ახლდისელი, ვ. უღაივა (მთავარი ქრო-
 ნიკითორ-კრიტიკოსი). მ. განუჩილაქე („საქ. რუხის“ მუქ-
 ღაეი), პ. კილაქე (აფიშების მუქღაეი), ვ. ბოღქაქე
 „სახ. გაზეთ“ მუქღაეი), დ. სართაშეილი, და ქუთათური
 „სიღოფანი“.

ღაეიწყოთ ს. აბაშელიდან.

ირეთელი.

(შემღეგი იქნება)



ავისი ცოლი და სხვისი ქმარი საღარაკოთ.

პრინცესა და ბარონი.

ხასიმღერო კუპლიტები.

ვუძღვნი ტასო.

(თარგმანი)

1

ერთხელ საღაც ერთსა მხარეს
 ცხოვრობდა იქ პრინცესა,
 დაბადებით, ეშპაიკიგან
 ზნეთა სჭირდა მას ესა:
 საღაც რასმე გაიგებდა
 უსათუოდ ხითხიებდა.

ბა-ბა-ბა! ბა-ბა-ბა!

2

ერთხელ ტყეში პაემანზე
 ბარონმა დაჰპატიჟა
 და მეთის-მეტ კოტნის ცეცხლით
 დახრუჯა, გააგიჟა.

პრინცესა კი ტუჩს უშვერდა
 და გიჟივით ხარხარებდა..

ბა-ბა-ბა! ბა-ბა-ბა!

3

ღამემ შთანთქა ღღე-ნათელი
 და მთვარეც ამოგორდა;
 ბარონი კი ჩვენს პრინცესას
 ჰკოტნიდა, არ მოშორდა;
 თუმც პრინცესა გრძობდა კარგა,
 რომ რაღაცა ღაეკარგა...

ბა-ბა-ბა!.. ბა-ბა-ბა!

4

აი, განქრა გაზაფხულიც,
 ზამთარი ახლოვდება;
 და ბარონიც გაჰქრა საღაც,—
 პრინცესა არ ღონდებდა..
 ის აკვანთან დაფუსფუსებს
 და თვის ბავშვთან კვლავ კისკისებს:
 ბა-ბა-ბა!.. ბა-ბა-ბა!..

გრი-გრი.

ღამსაღურებული საუკუღღური.

მოწყალეო ონისიმე,
 გაზეთში რომ გამოქვიმე,
 შენგან ამს მოველოდი?
 მიკვირს ღიღათ, იმე! იმე!
 განა სხვა კი ცოტა არის
 ამ მთისა თუ იმა ბარის;
 უარეს წყალ-წაღებული
 და ღაცინვის ღირსი მწარის?

ალარ გახსოვს მელიტონი,
მოხაზული, მოსაწონი,
ეხლა ბაქოს ქართულ სკოლის
ბალი-აღა და ბატონი?

განა ის კი ღირსი იყო,
ბაქოში რომ დამჯდარიყო?
ეს თუ კი სამართალია,
წყულომც და კრულომც ვიყო!

მხოლოდ საქმე ქანდაკული,
ნავთ მაზუთში მოხრაკული
გაგასწორებს, მრუდვც იყვე
წელში ხუთად მოკაკული.

ვინც არ იცნობს თაქთაქოვსო
და იქ ადგილს ისე სთხოვსო,
აშაფებენ თურმე თოვლსაც,
სხივსაც, მზიდგან დანათოვსო!

ეს ჩიხლაძე ვინ-ღა არი?
მე არ ვიცი მისი გვარი!
მხოლოდ, ვით სჩანს, ბაქოს სკოლის
ის ყოფილა წინამძღვარი:

სკოლა უვის მონასტერათ,
შიგ სიძე ჰყავს, თურმე, ბერათ
და მონაზვნათ კვირიდევ და:
მოღით, ნახეთ, თუ არ გჯერათ!

ბაქოს „ქ.შ.წ.გ.“-ნის გამგეობას
გულით ვუძღვნი დიდ მაღლობას,
დამავალებს, მომავალშიც
თუ მომწვედის ასეთ ცნობას.

შენ კი, ჩემო ონისიმე,
რაზედაც გწერ ამ წამში მე,
სინჯე და, თუ წესი იყვეს,
სხვაც ჩემს გვერდით გამოსკიბეს!..

სვიმეონ მიმჩქმელი.




გ ა მ ო ც ა ნ ა .

მგონის ცრემლში—ქალის ცრემლი,
ცრემლში—ცეცხლი, ცეცხლში—რკინა;
წყალში—თაფლი, თაფლში—ღვინო
და ღვინოში—„საპიტინა“...
მგონის ნიჟსა ლაყე კვერცხში
რა ქათამმა მისცა ბინა?

ოქროს ფეხსა ქალწულისას
მგონის ცრემლი რამ აღინა?
და ეს ცრემლი ამ ყოფაში
რა ჯანდიბამ გააცინა?

მგონის ცრემლში—ქალის ცრემლი,
ცრემლში—ცეცხლი, ცეცხლში—რკინა;
წყალში—თაფლი, თაფლში—ღვინო
და ღვინოში—„საპიტინა“...
ცრემლი—ცრემლით რომ იცინის,
გავციენე... გამეციენა!..

ონისიმე.



გ ა ზ რ თ ხ ი ლ მ ბ ა .

კვლავ მათრახი, დახეთ, დახეთ!
სძინებია, არ მომკვდარა!..
ეხლა ნახავს თვალის სერის
ვინც მოკვდაო, გაიხარა.

კვლავ მათრახის მწვავე კულით
ელოდეთ ზურგ აცხუნებას,
ვინც ღროზედ არ გაფრთხილდებით
ნეტავ თქვენ და თქვენ გუნებას.

შხანკალი.

გ ა ს ა რ თ ო ბ ე ბ ი

თავის გამართლება. ერთ ბიურუკრტიულ და-
წყებულუებაში ერთი მოხელეთაგანი ხშირ-ხშირათ იგუა-
ნებდა სამსახურში მისვლას. ერთ დღეს უფროსი დაუღა-
რაფდა კარებთან და შემოღვა თუ არა ფეხი სტატა ხელა
და დაუწყო უგირდი.

— კიდევ არ დაშაღე და ასე გვიან მოდიხართ სამ-
სახურში? ეს რასა ჰგავს? თუ ასე განაგრძეთ დაეთხოფთ!
— მანატითა!.. მანატით, ბატონო, დღეს ჩემ
ცოლს მძიმე შშობაარბაა ჰქონდა.

— ბიჭოს? ვინა გვინფარ თუ იფთ, რომ ასე თაე-
ხედათ მატუელებათ? ამ ორი კვირის წინად ესევე მიზე-
ზი მოიუფნათ თქვენის დაგვიანებისა. ერთი განაგებინეთ
ღვთის გულისათვის კურდღელი ხომ არ არის თქვენა ცო-
ლი, რომ ასე წამ და უწუშ ჰქონს შეიღებს?!!

— უკანტავთ, ბატონო, თვითონ კი არ შშობა-
რობს ის ბებია ქადა განჯავთ.

უბარი წამალი. შუადმისას ექიმს ხარი დაურეპს.

— ვინა ხარ? ან რა გინდა? შეკითხა ის მისულის.
— ცოლი მიკვდება ექიმო, ცოლი, მიშველეთ ღვთის გულისთვის.

გულგუთილმა ექიმმა ხელათ ზღაღო გადაიწვ და ბეჭედა.

ლოკინში იწყა ავთმეოფი და მწარეთ კენესოდა.

— რა გტოვიათ? შეკითხა ექიმი.

— ექიმო მიშველეთი შებინა და ღია ზირში თაგვი ჩამისტა და ცოცხლათ გადავლანე.

— ეტ შეუძლებელია, ქალატრონო, თქვენ უთუთ სიზმარი გინახვით!

— ახა რას ამბობთ? ნამდვილათ ვიცო, რომ გადავულანე, აი კიდევ ვგრძნობ როგორ ინძრევა, მიშველეთი ღვთის გულისთვის გამომიწერეთ რაც წამალი გინდათ შევალეფერსე თანახმა ვარ.

ექიმს შოთმინება დაეკარგა.

— თუ თანახმა ხართ მას მე გიწერო თქვენ კატას ჩაჭელანეთ ცოცხალი კატა და თუ ამ საშუალებამ არ გასტრა, ვედარეფერი გიშველით.

ჭკუის კოლოფი

— ახა, ვანო, მითხარი რისგან არის გაკეთებული შენი ხალათი? კითხება მასწავლებელი ზატარა ვანოს.

— მასწავლებელი.

— მართლაც! ახა ესა ეს მითხარი მასწავლებელის რისგან გაკეთებული?

— მასწავლებელი.

— უოხა! მასწავლებელს ვინ გვადლებს?

— ცხვარი.

— აი, ჭკუის კოლოფი უოხა, აქეხებს მასწავლებელი. — მას რომელმა ცხვარელმა მოგცა შენ ეს ხალათი?

— მამა.

დამახინჯებული დეგემა.

ერთ დამახინჯებულს თათქმის ორი წელიწადი არ ენახა თავისი ქმარი, რომელიც შორს სხლად მისხურებდა. ორი წლის შემდეგ ცოლმა გაიგო, რომ ქმარმა „ჩინა“ მიიღო და სულათ შემდეგ დეგემს გაუგზავნა:

„გილოცავთ ჩინა“.

როგორც საზოგადოთ ხდება, ქმარმა შემდეგი დეგემს მიიღო: „გილოცავთ შეილს“.

გაბეჭებული ქმარი დეგემითვე დანერგით შეკითხა: „ვისი წყალობა არის, ვისი მადლობელი უნდა ვყოფიყ“

ცოლმა არ დააკვირა და უპასუხა:

„მრავალი ხალხის, უმეტესათ კი ივანე ქახოსის რის ძის“.

მოსამართლესთინ

— თქვენი გვარი?

— თავიდაძე

— მერამდენჯერ გასამართლებენ?

— შეიოჯერ.

— სულ მუდამ ქურდობისთვის?

— დაახ, სწორედ მაგ ხელაობისთვის.

— განა თავის დღეში არ ფიქრობთ გასწორებას და სულ მუდამ ციხეში უნდა ევლოთ?

— ახა, ბატონო, გულზე ხელი დაიდეთ და მართალი სიტყვით, მამეს კი განა დრო, რომ გასწორებაზე ვიფიქრო? სატუსალოდან გამოსვლას ვერ ვასწრებ, რომ თქვენ ისევე უნდა მავსაწინათ და რაღისდა უნდა გასწორდეთ?

ხერხიანი მოხუციგა

ამ რამდენიმე ხნის წინათ ქუთაისის გუბერნიის ერთ სამხარო ქალაქში ადგილობრივი ვეჭილთან მივიდა სოფელი გლეხი და სთხოვა დაეცვა მისი საქმე. უნიადა მესობელი გლეხი.

ვეჭილმა გასინჯა საქმე, უამელოთ ხელი ჩაქინა და უთხრა რომ საქმის ზოგება შეუძლებელი იყო.

— ათადე, ბატონო, სიმინდით გაზრდილი, ქათმები რომ ჩამოგვარო სოფელიდან და მივართვა მოსამართლეს არ დაგვიხმარება ნეტავი? შეკითხა ვეჭილს გულურბოელი გლეხი.

ვეჭილს გაეცინა.

— ახა რას ამბობ ზეტრე. ალბათ ბატონი გეტქნება, როგორი გინდა ჩვენი მოსამართლე, მისი მოსიადეა ქათმებით კი არა არაფრით არ შეიძლება ეტ რომ გაბედო სულ დაიღუპება.

გათარა დრომ. საქმე დაინაშნა. თუმცა იმედი არა ჰქონდა, მაგრამ ვეჭილმა მისი გამოცხადდა სასამართლოში და დაიტო ზეტრეს საქმე. ზოი, საყვარელებზე, ეს უამელო საქმე საყვებით შოიგო ვეჭილმა.

— ზა, ბატონო ადუქანტო, მიუხალოდა ვეჭილს გლეხი და მხარზე ხელი დაალო — გასტრა ხომ ჩემმა ქათმებმა?

ვეჭილმა განცვიფრდა.

— რა, განა გაბედე და ქათმები გაუგზავნე მოსამართლეს? ევ დაუფრებელი ამბავია.

— დაახ, ბატონო, გაბედე და გაუგზავნე, მაგრამ... ჩემი მოწინააღმდეგის მავარი.

მოწერილი ამბები.

ხად. ხამტრედა. ანდენის ხნის სიჩუმის გამო ზოგიერთ აქალ რკინის გზის მოსამსახურეთ ეგონათ „მობრახი“ მოკლდო და მათ აღვირწახსნილობას სამზღვარი აღარ აქვს, თუმცა ბევრს ვენიჩინებოლი და ვუმტკიცებოლი, რომ „მობრახი“

არ მომკვდარა, არამედ ბევრი შრომის შემდეგ ისვენებს და სულ ჩქარა მოგვევლინებთ მეთქი, მაგრამ არ დამიჯერეს, პირიქით კიდევ მემუქრებიან შენ - ხულიგანი! ხარ ქართველების დაღუპვა გინდა და მისთვის ვიჭყენებ ყველაფერი ქრთამათაო, თორემ რა ქრთამია, თუ კი „ქაზანს“ რაშეს ჩამორჩები ან თუ მსხვილ გამგზავნილებს თითო „კონუსამეტში“ თითო ქანქარს ავაფუქქენითო, ან რა საქირაო გარეთ სადგურის გარშემო გზებზე ათი „გალკინის“ ფანრების განათება იქ ხომ მთავარეც კი ანათებს და როდესაც მთავარ არ არის მაშინ ფრთხილად იარონ შეისრეებმა და კონდუქტორებმა, რადგან ამისთანა ეკონომიით 60 ფუთი ნავთი მაინც დარჩება და კარგა თვეში 60 ქანქარი სადგურის უფროსისათვის, რადგან ის ავადყოფი კაცია ამისთანა საბუთებით იმართლებენ თავს აქაური მოხელენი და როცა გაიგეს „მათრასის“ გამოსვლა და თავის თვლით ნახეს, თავზარი დაეცათ. შიშით სული კინაღამ გასძვტაო, როცა გაიგეს ერთი „ემშკათაგანი“ პირდაპირ სამტრედიისა წამოსულა სარგვეზოთ, რომ დათვალეიროს აქაურობა და საკუთარი თვლით ნახოს ყველაფერი. დარწმუნებული ვარ ბ-ნი რევიზორი მატარებლის გაჩერებისთანავე ბუფეტში შევიღის, რომ ლაღიძის ცივი წყალით, გაივრილოს გახურებული გული, მაგრამ მის მაგიერ მიართმევენ აღვლამობრივ ზაღის ხელოვნურ წყალს, ბაყაყებით სავსე სურნელოვან ქაში ჩაიკებულს. გაფრთხილეთ რევიზორი, რომ უსადილოთ არ წამოვიღეს, თორემ სამი დღის ბუზებიან მგერულ „ბორჩოთ“ გაუმასპინძლდებიან. სისუფთავეზე ხომ ნულარ იკითხავ, მაქ სამიკიტრო დუქანი უფრო სუფთა იქნება, ვიდრე აქაური პირველი კლასის ბუფეტი და როგორ არ ეუფთავის აქაურ მებუფეტეს მათრასი გვერდების აქრებდებ?! იქნება დაიცუნო თავის მართლებმა, რომ სადგურის უფროსი ბ-ნი გლადკოვი არ წუნობსო, მაგრამ დაარწმუნეთ ბ-ნი რევიზორო, რომ ბუფეტი მგზავრებისთვისა და არა სადგურის უფროსისათვის და მის მაგიერ, რომ მას აძლიოს ქანქარი, მშემნდავი დაიყენე და უფრო წესიერი იქნება თქო.

სადგურის უფროსი აუცილებლათ უნდა ინახულოთ კაბინეტში, მაგრამ არამც და არამც არ მოგზიბლოს ვითომ და მისმა „სინატიურმა“ მოხაზულობამ, ის ქანქარასა შემოგაძლევს, რომ საბარგო განყოფილება არ ინახულო და მისს საქმეებს რევიზია არ გაუკეთო, ტუბილად დაგოწყებს ქიქიკიგ, რომ თვალი ავებოიოს, მაგრამ თქვენ ყურსნუ უგდებთ და პირდაპირ მისი კაბინეტის ვეჯრდის ოთახში შეიარეთ. აქ წამდვილ მაზარს ნახავთ. აქვე ნახავ კონტრაჩიკებს, კონდუქტორებს, მემსრეებს, მატარებლების შემდგენელებს, უბილეთო მგზავრებს ანუ „ბრუკიანებს“, (ხაიჩიკებს) შვაზე მაღალ საწიგნობებს, (ისეთს როგორსაც ეკლესიაში დაიყენებენ ხმარობენ) და მასთან ფეხზე მდგომ მორიგ ავანტს, რომელიც ხან აქეთ ეხეოქება და ხან იქეთ, ხან ტელეფონთან მივარდება და ღრიალებს „ქეზლი ქეზლიო“, რომ ღროზე გაუშვას მატარებლები, მა-

გრამ ყურთა სმენა არ არის ამდენ არეულ ხალხში რადგან ძალზე ღრიალებენ: ზოგი რუსულათ იღანძლება, ზოგი შევრულათ ბურღულენებს, ზოგი პაპიროხსა სწევს და ხელთ გამურული ფანარი უქვრია, რის გამო საშინელი ბული და სიმყრალე სდგას ოთახში და ამას ჰქვიან: სადგურის უფროსის კანტორა.

საბარგო განყოფილებაში (Багажное отделение) ნახვ წამდვილ „საქანქრებს“ კასირ დარასელია-ავიპკინის გამგეობით და ბ-ნი გლადკოვის თავმჯდომარეობით (დამფუძნებელი საქანქრეთისა) აქ კი დიდი რევიზია და დაკვირება გქირია. თუ ამით ხიჩკებს მოუწახავ თავ ბოლოს, მაგრამ უშთავრის ყურადღება მიაქციე ვასგზავნე სანოვავეს „ნაკლადნის“, რომლებიც თითო ქანქარი ღირს დამფუძნებლის სასარგებლოდ, რა გინდა სულო და გულო, რომ აქედან არ იგზავნებოდეს რუსეთის ყოველ კუთხეში: ბალი, ხედლა, მკვახე ატამი, მკვახე მხალი, მწიფე კიტრი და ვინ მოსთვლის კიდევ არა. ყველა ამის ვასგზავნათ ვინც მეტ ქანქარს გაიღებს უწინაც მისი საქონელი წვა და რადგანაც ყველა გამგზავნელებში გ. მოშიაშვილი უფრო დახელოვნებულია და სადგურის უფროსთან დაახლოვებულია ქანქარის წყალობით, ამისათვის ამის ხილიც ბევრი მიდის და სხვები კი რჩებიან პირში ჩალო გამოვლებული. რაც შეეხება იმას რომ სადგურის გარშემო რუინის გზის სამუშაო ლიანდაგები, იმ სახლთან მიმავალი გზა, სადაც დაღლილი კონდუქტორები ისვენებენ და გარდასასვლელი ხინდი უკუენით არის მოკული და ფანრებს კი არ ანთებენ, ვაგონილი გექნებათ ალბათ, რომ ანთების მაგიერ ვიდაცეები სვამენ ნავთს. კარგი იქნება, რომ საცალფეხო გზებსაც მიაქციევედ ყურადღებას, თორემ შენი მტერია დამიტვრივის მასამისარებმა თავპირი, ნამეტური უმთვარო დაემში და წვიმიან დროს ლამის ტალახში დავიხრჩეთ, დაარწმუნე აქაური ნაწილის უფროსი და გზის მოხელე, რომ სადგურის მახლობელ საცალ-ფეხო გზებს მოკირწყვლო და სუფთათ შენახვა უნდა და არა ქვების და ნეხვის საწყობათ ვადაქცევა.

შიკრიკი.

სადგურაშო. 25 ივნისს აქ ერთი უბედურება დატრიალდა. როგორც მოგვსენებთ აქ ჩვენ გვეყავს მოძღვარი ზაგარო, რომელიც ერთ და იმავე დროს მღვდელიც არის და ვაჟარიც. კვირაობით ეკლესიაში მსახურებს, ხოლო დანარჩენ დროს თავის პატარა საწვიამლო დუქანში ზის და ვაჭრობს. ეს დუქანი მან დიდი ხანი არ არის რაც გამართო ეკლესიის წინ. ყიდის მარილს, „ქუჩუჩიან“, კომფეტებს, წუშწუშას, ნავთს და რასაკვირველია ღვინოსაც. ამა უღვინოთ როგორ შეიძლება რამე საქმის გაკეთება. ხშირათ თვითონაც ქეთეობს სხვებთან ერთათ. საკონელი მუდამ სალი აქვს და ხელ-მისაწოდამ ფესებში ჰყიდის. და იმ ვაჭარ მღვდელს 25 ივნისს ვიღამაც „მათრასი“-ს ნომერი მისცა ხელში. დახედა თუ არა მღვდელმა ვიოა ერთი კი დაიყვირა და

იქვე ჩაიკეცა. ძლიერ მოაბრუნეს. ვადარჩა, მაგრამ ჯერ კიდევ ლოგინათ წვეს. როგორც ვავივით მამა ბაგრატს განზრახული აქვს, როცა წამოდგება დარაჯები დააყენოს გზებზე, რომ „მათრახ“-ის ნომრები არ შემოიტანონ საგურამოში.

№ 1.

სუფხა. ყურნალ „მათრახის“ გამოსვლა კვებით ზიარება არის, ზოგიერთ აქაურ ვაგებატონებისა, ვინაიდან დიდი ხანია მათ ზურგი ექაევათ. იმედია თუ მთელ მათრახს ვერ გაიმეტებთ, კულს მანც არ დაიშურებთ. სიას მალე გახალგებთ პროპორციონალურათ გამომანგარიშებულს, თუ ვის რამდენი მათრახი სჭირდება.

არკადიდელი.

თელავი. ერთი მანდილოსნის თაოსნობით ამ დღებში აქ ვიზიტითა საინტერესო „საქეკვაო საღამო“. ხალხი ბლომათ დაესწრო და ფრიად მთვრალიც დაბრუნდა მეტის სიამოვნებისაგან.

— გადაიყვანეს კახიძე. ამბავმა თავზარი დასცა თელაველებს. მადლიერმა საზოგადოებამ ხელათ სადილი გაუმართა. სადილს ხალხი მლომათ დაესწრო რა აუარებელი სიტყვებაც დაიხარჯა. გულ-აიუყებულმა საზოგადოებამ ბევრი იტირა. საზოგადოებამ გადასწყვიტა დააარსოს კახიძის სახელობის ფონდი. შემოწირულება ბლომად გროვდება. მოთავენი არიან ონიკაშვილი და აჯიმამუღოვი.

ფალავანი

ხაშური. ამ ორი წლის განმავლობაში ბევრი რამ შესანიშნავი მოხდა ხაშურსა შინა:

ყველა დუქან-სამიკიტნოები ელექტრონით არის განათებული, რამაც ძლიერ მიიზიდა ხალხი. მიკიტნები ძლიერ დაგვიღონდნენ, მიზეზი ის არის, რომ ელექტრონის ზედგავლენით როგორც ჭიქა ისე ბოთლები ძლიერ ჩქარა იცლებება, ასე რომ „პოეზლები“ ღვინის ზიდვას ვეღარ ასწრებენ. ღვინისიება არის მიღებული, აქვე ადგილობრივ შეადგინონ, ჭიმიურათ, ღვინო, მაგრამ საუბედუროთ ტუნელის წყალი არ იძლევა საჭირო ანალიზს.

ამიტომ საჭიროა მათრახი ამისთანა, ჭიმკოლსების გადასარეკავათ, რათა არ მოგვეწამლოს მომავალი თაობა, თორემ ჩვენი უთაობა ბევრს რამეს დაგვაკლებს.

ლ. მემანქანე.

ეგლახი. დადგა კოლოთა სეზონი, მაგრამ დიდი კოლოს დამარცხების გამო პატარა—ბი დიდს მწუხარებაში არიან.

იგრივე.

შეცდომის განხორკება.

„მათრახი“-ს პირველ ნომერში მოთავსებული იყო წერილი, ქვეშ წარწერით „პატივისცემით სოსიკო მერკვილიძე“. როგორც გადმოგვეცეს თურმე ეს წერილი ბევრს მართლა სოსიკო მერკვილიძის ჰგონებია. ვაცხადებთ, რომ ეს წერილი სოსიკო მერკვილიძეს არ ეკუთვნის და თან ჩვენ მწუხარებას ზედ ვუმატებთ.

„მათრახის“ რედაქცია.

იუიღებუ წარსული წლების იუშორ. ყურნალების კომპლექტი:

- 1) „ეშმაკის მათრახი“ 1908 წ. სულ 34 ნომერი, ერთად შეკრული ღირს—2 მ., იგივე მშვენიერის კალენკარის ყლით ეღირება — 3 მ. —
- 2) „მათრახ-სალამური“ 1909 წ. 34 №—2 მ. — იგივე მშვენიერის ყლით — — — 3 მ. —
- 3) „მათრახ-სალამ.“ 1910 წ. 34 № —2 — 50 იგივე მშვენიერის ყლით — — — 3 — 50
- 4) „ალმანახები“: 1909 წ. აკაკი, ეშმაკი, ჯოჯოხეთი, ტარტაროზი და სხვ. სულ 10 №—50 მ.
- 5) „სალამური“ 1911 წ. სულ 20 №—1 მ. —
- 6) „ფაუსტი“—1 მ., 7) „კოპერაცია“—30 მ. ვინც გასასყიდათ დაიკეთეს თითოეულს არა ნაკლებ 5 ცალისა დაეთმოზა 25%, მიმართეთ „შრომის“ სტამბაში თეოფილე ბოლქვაძეს, მუხნის ქ. 12.



თავადების ქეფი, მამულების დაგროვების შემდეგ.